20410484

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

განკარგულება

17/04/2024 N 188

თბილისი

შპს ,,ვალუტა 2022“-ს ვალუტის გადამცვლელი პუნქტისათვის ფილიალის საქმიანობის ნებართვის შეწყვეტის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61–ე მუხლის, „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 თებერვლის N37/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-6 მუხლის მე-9 პუნქტის და მე-12 პუნქტის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 30 ივნისის N164/04 ბრძანების საფუძველზე:

1. შეწყდეს შპს ,,ვალუტა 2022”-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი 405464625) ვალუტის გადამცვლელ პუნქტზე გაცემული ფილიალის საქმიანობის ნებართვა, მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N16;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,შპს ,,ვალუტა 2022”-ს ვალუტის გადამცვლელი პუნქტისათვის ფილიალის საქმიანობის ნებართვის გაცემის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2023 წლის 22 თებერვლის N80 განკარგულება.
3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. N64), მხარისათვის მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
4. განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის მისი გაცნობისთანავე.

მერაბ შალიკაშვილი

დეპარტამენტის უფროსი - მ.შ.
არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტი